

ტერმინებისთვის: ზუსტი და არაზუსტი, ვაჟური და ქალური რითმა



აკაკი ხინთიბიძე



1.

ტრადიციული ტერმინოლოგიით, რითმის ბგერითი შეგენილობა ან 'ზუსტია, ან არაზუსტი. თუ რითმის კლაუზულაში (მახვილიანი ხმოვნის მარჯვნივ მდებარე მარცვლებში) ერთი და იგივე ბგერები შეივრდებიან: სალაპსი - კაღაპსი, რითმა ზუსტია, ხილო თუ კლაუზულის ბგერები მთლიანად არ თანხვდებიან ერთმანეთს: არაყინ - კარაყინ ან ანკარა - უანგარო, რითმა არაზუსტია.

ძველ რითმაში, რომელიც ძირითადად ზუსტი იყო, ხოლო უზუსტობა ნაკლებად ითვლებოდა, ამ დეფინიციას გაპართლება აქონდა, თუმცა არა ყოველთვის. მაგალითად, ხალხური ლექსის რითმა: გორახა - გორაყსა, ანდა რუსთაველური: ჩაგყაცყავდეს - გვწყადეს - გარდმოსცვიყდეს - სწყმდეს არაზუსტია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ნაკლები იყოს, უხარისხო.

ეს ტერმინები გაცილებით უფრო სადავო გახდა, ხშირად შეუფერებელი კი თანამედროვე რითმის მიმართ, სადაც გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა არაზუსტი რითმების რიცხვი და არაზუსტი რითმა მეტი პატივით სარგებლობს, ყიდრე ზუსტი.

მოძველდა საკითხი ტერმინების გადახინჯვისა. ზუსტ რითმას, არაზუსტ რითმას აშკარად გამოიკვეთილი შემთავსებლური ხასიათი აქვს, ზუსტი კარგს ნიშნავს, არაზუსტი - ცუდს, რაც არასგზით არ ესადაგება თანამედროვე რითმას. გაჩნდა ტერმინიც ე.წ. 'ზუსტი რითმა (ე. ხილშეყნიკოყი, ა. იანიკი, ნ. კოსინარიყი, ა. აღამხი).

ქართული ლექსმცოდნეობაში დღემდე ეს ტერმინებია გავრცელებული. ამის პარალელურად გაჩნდა: სწორი რითმა, არასწორი რითმა (ყაღერიან გაყრინდაპყილი, კონსტანტინე ჭიქინაძე) და ნაკლები რითმა - არაზუსტის გაყებით (აკაკი გაწერილია). ამაყე დროს, რითმას ძიყეული ყურიისყის გადააკტიისის რითმა: სილაში ყარდი - სილაყვარდე, რომლის ბგერები მთლიანად არ თანხვდებიან ერთმანეთს, არც არაზუსტია, არც არასწორია და, მით უმეტეს, არც ნაკლებია.

ყვრიანულ პოეტიკაში ზუსტი რითმის ხანაცყლიდ იმპარება ტერმინი - იდყნტური რითმა (პარი 'მოყ, ლიტყრატყრულ ტყრმინთა ლექსიკონი, აშშ,

1972). ვითრეც წერეთელმა „ვეფხისტყაოსნის“ რითმათა მიმართ მიზანშეწონილად მიიხსნა ტერმინები: იდენტური რითმა, არაიდენტური რითმა¹. მასში გამოირიცხულია შემფასებლური მომენტი და, ჩვენი აზრით, იგი თავისუფლად შეიძლება გაყავრცელოთ საერთოდ რითმაზე. იდენტური ისეთ რითმას ეწოდება, რომლის თანაცვლებში ბოლოდან შეწყობილ მარცვალთა რაოდენობამდე ერთი და იგივე ბგერები შეორდებათ, ხოლო არაიდენტური - როცა ბგერათა ერთდარევიობა დაცული არ არის, მხოლოდ მსგავსი კომპლექსები ხვდებათ ერთმანეთს.

ქართული რითმა ერთი და იმავე ან მსგავსი ულერადობის სიტყვათა განმეორებაა და არა ბგერების ან ბგერათა კომპლექსებს (როგორც აქამდე მიახნდათ). იგი მახვილით არ იწარმოება და კლაუსულას არ უდრის. სუსტი თაკიდური მახვილი სიტყვებს არ ანაწილებს კლაუსულასა და ანაკრუსის სფეროებად (რუსული მახვილის საპირისპიროდ: ЧЕЛОВÉК), გამოირიცხულია მდიდარი (საბჯენთაჩნმოვნიანი) და ღრმა (კლაუსულისწინა ხმოვანთა იგივეობა) რითმების ცნებებიც.

სიტყვის სიტყვასთან შეწყობა კიდევ უფრო ზრდის არაიდენტური რითმების რიცხვს. თუ ძველ რითმაში არაიდენტურობა ასონანსით ამოიწურებოდა, ახალ რითმაში მას კონსონანსები და დისონანსები ემატება. ხოლო ასონანსებს გააზრებული ხასიათი აქვს.

თანამედროვე ასონანსები: ქუჩებს ურჩევს (კოლაუ ნადირაძე). მკადრულობ - ნაკადული (მუხრან მაქაფარიანი), კონსონანსები: მამისა - უჩენაესი (ვალერიან გაფრინდაშვილი), მტყუანა - ბაგრატოვანი (ვითრეც ლეონიძე). დისონანსები: დაღანდი - მანდილი (ვალაკტიონი), სპილენძი - მასპინძლებს (იოსებ გრიშაშვილი) უფრო მეტი ესთეტიკური ღირსებაა, ვიდრე კლასიკური პერიოდის იდენტური რითმები: გაგეგონება - მონება, შენადონები - მკონები და სხვ.

რითმის ხარისხობრივი მანიყენებლების ზრდის გამო, რაც ძირითადად არაზუსტ (არასწორ, ნაკლებ) რითმებში გამოვლინდა, უარი უნდა ვთქვათ შემფასებლობით ტერმინებზე: სუსტი და არაზუსტი, სწორი და არასწორი, უნაკლო და ნაკლები რითმა და მის ნაცვლად უნდა შემოვიღოთ: იდენტური რითმა, არაიდენტური რითმა, რომლებიც რითმის ხარისხზე არ მოგვანაშნებენ

2.

ქართულ ლექსმცოდნეობაში შექანიკურად იქნა რუსულიდან გადმოტანილი რითმის გრძლიობის აღმნიშვნელი ტერმინები: ვაჟური რითმა, ქალური რითმა, დაქტილური რითმა, ზედაქტილური რითმა. რადგან ქართული ლექსი ტერფოვანი არ არის, ტერმინები: დაქტილური და ზედაქტილური, ასევე, შექანიკურად გაუქმდა.

უფრო რთულად დგას ვაჟური და ქალური რითმების საკითხი.

ერთმარცვლიანი რითმა კრულს სულს (კოტე მაყაშვილი) ვაჟურად
თავდება, ერთმარცვლიანი ელლი - ველი (პაოლი იაშვილი) - ქალურად.

ტერმინები ფრანგულიდან მოდის, სადაც ენაში მახვილი სიტყვის ბოლო
მარცვალს ეცემა. რითმები, რომელთა წევრებს ბოლოში უხმო e ერთვის,
ქალურია, რომლებსაც არა - ვაჟური.

სპეციალურ გამოცემაში „რითმა ქართულ ლექსში“ (1929 წ.)
კოსტანტინე ქაქინაძემ ეს ტერმინები სადაოდ მიიხსია არა მხოლოდ
ქართული, არამედ რუსული ლექსის მიმართაც². მანამდე გრიგოლ ყაფშიძე
წერდა. „ჩვენს წყობილსიტყვაობაში არ არის ნაცვალებადობა ქალური
და ვაჟური რითმისა“³. კიდევ უფრო ადრე ამ ტერმინებით გრიგოლ რიბაქიძე
დაინტერესდება. მან იცის, რამდენად ეფექტურია რუსულ და ევროპულ
პოეზიაში ვაჟური და ქალური რითმების მონაცვლეობა. ქართული ლექსი
კი ამის საშუალებას არ იძლევა, რადგან ქართულში ერთმარცვლიანი
რითმები ძალზე იშვიათია. ამიტომ იგი წინადადებას იძლევა: „ვაჟური“
და ვაჟურქმია ერთმარცვლიანი რითმისთვის, ხოლო „ქალური“
სამმარცვლიანისთვის⁴, რომელთა კანონზომიერი შენაცვლება ქართულ
ლექსს ძალზე უხდება. ასე გართობა მან თავისი სონეტი „ქლები“. კატრენებს
რკალურ რითმაში პირველ და მეოთხე სტრიქონებს სამმარცვლიანი
ეპოინური საყრდენი აქვს: ორკუზიანი - მორიგზიანი, ხოლო მეორესა და
მესამეს ორმარცვლიანი: ბუში მრუში. რითმათა მონაცვლეობა
შენარსუნებულია ტერმინებშიც.

გრიგოლ რიბაქიძე მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების მეტრი
ყოფი და გართობის ეს წესი შემდეგ დამკვიდრდა კიდევ ქართულ პოეზიაში.
იგი თავის ძივს ალექსანდრე აბაშელის, ოსებ გრიშაშვილის, პაოლი იაშვილის
და სხვათა ლექსებში. საილუსტრაციოდ:

და დღეს რომ წიხურს ცრემლი დასცვივა,

შუქი იელვებს თვალებში წამსვე.

დგას საქართველო ოქროს თასივით,

შენი ლექსების ნექტარით სავსე.

(ალექსანდრე აბაშელი)

ქართულში ვაჟური (ერთმარცვლიანი) და ქალური (ორმარცვლიანი)
რითმების ტერმინთა არსებობის შეუძლებლობას მართო ერთმარცვლიანი
რითმების ნაკლებობით ვერ აცხსნით. გალაკტიონის „სევ ევექურა“ ერთ
და ორმარცვლიან რითმათა მონაცვლეობით იწყება:

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს,

ჩუმი შრიალი საიდან არი.

ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს.

მაინც მწვერვალებს ედება ქარი.

მოაჯარი სხვა არის! კერძოდ კი ის, რომ ქართული ენისა და ლექსისათვის

ოვეთ ტერმინებია შეუთავსებელი: ყაუური და ქალური (ამაზე გაკერით კონსტანტინე ჭიჭინაძემაც მოგვანიშნა) - ქართულ ენას სქესის გაგება არა აქვს.

ამ ტერმინებისადმი კონსტანტინე ჭიჭინაძის უარყოფით დამოკიდებულებას აკაკი გაწერელიაც შეუერთდა, მაგრამ შენიშნა: რატომ არ შეიძლება იგი პირობითი ვიხმაროთო და იყენებს კიდევ⁵, ისევე როგორც კონსტანტინე ჭიჭინაძეც მიმართავს დრო და დრო.

რუსულ ლექსში, სადაც ერთმარცვლიანი რითმებიც მრავლადაა და ენასაც სქესის გაგება აქვს, ეს ტერმინები მოსათმენია და, რამდენადაც ვიცი, მის წინააღმდეგ რუს ლექსმცოდნეებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. მაგრამ ქართული ენისთვის მაშრობითი და მდებრიობითი რითმები ნონსენსია.

ამრიგად, ქართულ ლექსმცოდნეობაში ყაუური და ქალური რითმების ნაცვლად უნდა ვიხმაროთ ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი, ხილი დაქტილურის და ზედაქტილურის ნაცვლად სამმარცვლიანი და მრავალმარცვლიანი (ოთხმარცვლიანი, ხუთმარცვლიანი და ა.შ.) რითმები.

ქართული რითმის ტერმინოლოგია ეროვნულ ნადავზე უნდა იდგეს.

დამოწმებულს ლიტერატურა:

1. გ. წერეთელი, პეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1973.
2. კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში, თბ., 1979, გვ. 13.
3. „ლიტყვიერების თეორია“, III გამოცემა, 1920, გვ. 28.
4. „ქართული ლექსი“. გაზ. „საქართველო“, 1918, №221.
5. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 172, 173, 305.



ანჟამბემანის ცნებისათვის



თეიმურაზ დოიაშვილი



ანჟამბემანი თითქმის ოთხი საუკუნეა, რაც ლექსის მკვლევართა თვალთახედვის არეშია მოქცეული, მაგრამ ამ ცნების ზუსტი მეცნიერულს დეფინიცია დღემდე არ არსებობს. სპეციალური ლექსიკონები, ლიტერატურის თეორიისა და პოეტიკის სახელმძღვანელოები თუ გამოკვლევები განსხვავებულად განმარტავენ ამ ტერმინს.

ანჟამბემანის განსაზღვრა, როგორც წესი, ერთი რითმული პარამეტრის მიხედვით ხდება - მეტრული სტრუქტურის, ლოგიკურ-სემანტიკური დასრულებულობის ან რიტმულ-სინტაქსური ერთობის პოზიციებიდან.

გადატანის დახასიათება მეტრულ ნორმასთან მიმართებაში ასახულია იყო უკვე კლასიციზტური სულისკვეთების შქონე პოეტიკის სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში, სადაც ანუაშბეჰანი განიხილება. როგორც „დეფექტი“, „ნაკლი“, „უშვობა“ და, ამდენად, იკრძალება კიდევ (10, 439-440).

ლიოვიკურ-სემანტიკური მიდგომის დროს აქცენტი გადატანილია სალექსო ფრაზის სემანტიკურ შეუთავსებლობაზე მეტრთან. იგი დაძაჩასიათებელია ფრანგული სიღაბური ლექსთწყობისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისათვის. მაკალითაად, პ. დესჟეი თავის „მცირე ტრაქტატში ფრანგული ლექსის შესახებ“ წერს: „ანუაშბეჰანი მაშინ იქმნება, როდესაც აწრი გადასცდება (გაივლის) ტაქტის ბოლოს“ (11, 111). ანალოგიურად განმარტავს გადატანას გამოსწორილი რუსი ენათმეცნიერი ლ. შჩერბა თავის ცნობილ ნაშრომში „ფრანგული ენის ფონეტიკა“: ანუაშბეჰანის არსი ისაა, რომ „აწრი არ მოაგრდება ტაქტის დასრულებასთან ერთად, რამდენიმე მარცვლით გადადის შემდეგ ტაქტში...“ (14, 169).

დღეისათვის გავრცელებულ დეფინიციებში ანუაშბეჰანი გაიზრება, როგორც მიმართება რიტმულ და სინტაქსურ სიდიდეებს შორის. ეს პიზიკა სათავეს იღებს გამოჩენილი ლექსმცოდნეების ვ. ჟერმენსკის, ი. ტინიანოვის, ბ. ტომაშევსკის, ს. ბერნშტეინის ნაშრომებში.

ვ. ჟერმენსკი წერს: „როცა მეტრული დაყოფა არ ემთხვევა სინტაქსურს, წინდება გადატანა (enjambement)“ (4, 154).

ი. ტინიანოვიც გადატანას ისეთ მოვლენად მოჩნევს, როდესაც რიტმული რიგი და სინტაქსური ერთობა ერთმანეთს არ ემთხვევა (12, 63).

გადატანა არის „ტაქტის არ-დამთხვევა სინტაქსურ მონაკვეთთან“, - განმარტავს ბ. ტომაშევსკი (10, 439).

ეს თვალსაზრისი დომინირებს დასავლურ ლექსმცოდნეობაშიც. გერმანული ლექსის ცნობილი მკვლევარი ერუინ არნდტი გადატანას უწოდებს ისეთ მოვლენას, როდესაც „მეტრული რიგი და სინტაქსური წყობა ერთმანეთს არ ემთხვევა“ (15, 107).

გადატანის ამგვარი გაგება გაზიარებულია ქართული ლექსის მკვლევართა შორს. აკ. გაწერელიას განსაზღვრით, ანუაშბეჰანი ეწოდება „ლექსის ამა თუ იმ ტაქტის დასასრულის გადატანას მომდევნო ტაქტში, რაიც ინტონაციურ კონფლიქტს იწყევს მეტრსა და ტაქტის სინტაქსურ დაბოლოებას შორის“ (1, 158).

აკ. ჩინთაიძე წერს: „ტაქტის მეტრისა და სინტაქსური წყობის... წინააღმდეგობრივი შეხვედრისას წარმოიშობა თავისებური მეტრულ-რიტმული მოვლენა, რომელიც გადატანის (ანუაშბეჰანის) სახელითაა ცნობილი“ (2, 354).

ზემოთ სხვადასხვა ვარიაციით წარმოდგენილი შეხედულებანი

ანუამბეშანზე, როგორც რიტმულ-სინტაქსურ მოვლენაზე, მართალია, საყოველთაოდ არის გავრცელებული, მაგრამ იგი ბოლომდე ნათელი და გამოკვეთილი არაა. საკმარისაა ითქვას, რომ ეს თვალსაზრისი ვერ გვაძლევს ერთმნიშვნელოვან პასუხს უმთავრესზე - რა შეიძლება ჩაითვალოს ვადატანად. ამის მიხეზი ისაა, რომ თუ მეტრული რიგის საზღვრები დადგენილია (ნახეგარტაეში, ტაეში, სტროფი), ეს არ ითქმის სინტაქსზე. მკვლევართა შორის აზრთა სხვაობაა, რა უნდა ჩაითვალოს ძირითად სინტაქსურ სიდიდედ ვადატანის დროს.

ვ. ჟომურსკი, მაგალითად, ლაპარაკობს გრძელ (წინადადება) და მოკლე (ფრაზა) სინტაქსურ პერიოდებზე, აგრეთვე, სინტაქსური ჯგუფის დაყოფაზე (4, 152); ბ. ტომაშევსკისთან 20-იან წლებში საუბარია ფრაზის გათიშვაზე (11, 78). ბილო პერიოდში - სინტაქსურ მონაკვეთზე (10, 439); ი. ტანანაიჯო გვთავაზობს „სინტაქსური ერთობის“ ცნებას (12, 63); ა. კვიატკოვსკი სინტაქსურ ერთეულად ასახელებს ფრაზას ან მის ნაწილს, რომელიც ერთიან სინტაქსურ შეხამებას ქმნის (5, 206); ლ. ტიმოფევესთვისაც ასეთი სიდიდე მთლიანი სინტაქსური ფრაზა ან მისი ნაწილია (8, 164); ბ. კორმანი გვთავაზობს ტერმინს „სიტყვათშეხამება“ (6, 165). ეს შეხედულებანი ასახულია სხვადასხვა ტიპის ლიტერატურულ ლექსიკონებშიც (7, სექტი 848-849; 9, 81).

ამრიგად, სინტაქსურ ერთეულად თუ სიდიდედ დასახელებულია: გრძელი და მოკლე პერიოდები, წინადადება, ფრაზა, სინტაქსური ჯგუფი, სინტაქსური მონაკვეთი, სინტაქსური ერთობა, სიტყვათშეხამება... ასეთ ვითარებაში მოულოდნელი არაა, რომ ტერმინოლოგიურ სიქრელეს თან სდევს გაურკვევლობა და ბუნდოვანება.

ანუამბეშანზე მსჯელობასას სინტაქსურ სიდიდედ ყველაზე ხშირად წინადადება და სინტაქსურად მთლიანი ფრაზაა დასახელებული. ჩვენი აზრით, ამ ცნებების გამოყენება ვადატანასთან მიმართებაში არაპროდუქტიულია. დავაკვირდეთ კონკრეტულ მაგალითს:

*დაათრობს მოყარე თოვლიან აღვეებს
ივლიძისფერი ყინვის თასებით.*

(გ. ტაბაძე, „აღვეები თოვლში“)

ჩვენი წინაშეა სრულიად უდავო ფაქტი წინადადების (აზრის) სტრიქონიდან სტრიქონზე ვადატანისა - მეტრული და სინტაქსური დაყოფა ერთმანეთს არ ემთხვევა. მიუხედავად ამისა, არც ერთი ლექსმცოდნე აქ ანუამბეშანს არ დააფიქსირებს. საქმე ის არის, რომ გალაკტიანის დამოწმებულ სტრიქონებში მეტრული პაუზა სინტაგმის წევრებს კი არ აკალკევებს, არამედ - დამოუკიდებელ სინტაგმებს: პირდაპირი დამატების ჯგუფს („თოვლიან აღვეებს“) და უბრალო დამატების ჯგუფს („ივლიძისფერი ყინვის თასებით“) ერთმანეთთან უშუალო სინტაქსური კავშირი არა აქვთ.

მათი აზრობრივი გამიჯვნისათვის ჩნდება ლოგიკური პაუზა, რომელიც ემოციუვა ტაქტის მეტრულ საზღვარს და ანეიტრალებს გადატანას.

უნახოთ სხვა მაგალითი:

*და კვლიაჲ არაკლიამ ხრმალი ბრძოლისა
აღიღო ლექთა შესამუსრაყად.*

(ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“).

მეტრული და სინტაქსური დაყოფა აქაც არ ემოციუვა - მეტრული პაუზით გათიშულია სინტაგმა „ხრმალი... აღიღო“, მაგრამ გადატანა მაინც არ აქმნება. რა არის ამის მიზეზი?

პოეტიკაში კარგად არის ცნობილი ინვერსიის მოყვება. ქართულ ენაში, სადაც სხვა ენებთან შედარებით სიტყვათა რიგი თავისუფალია, ინვერსია, უპირატესად, დაკავშირებულია მსაზღვრულ-საზღვრულის შებრუნებულ-პოსტპოზიციურ წყობასთან. დამოწმებულ მაგალითში პირველი ტაქტის ბილის სწორედ სიტყვათა ინვერსიული რიგი გვაქვს: „ხრმალი ბრძოლისა“ ნაცვლად „ბრძოლის ხრმალისა“.

ინვერსიაზე მსჯელობისას ყ. აურმუნსკი, სხვათა შორის, ჩვენთვის მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს: „ინვერსია, ხელს უწყობს რა სინტაქსურ განკერძოებას, სინტაქსურ ჯგუფში გაერთიანებულ ელემენტებს შორის უფრო მეტად შესამჩნევ საზღვრებს ქმნის“ (4, 155).

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ბ. ტომაშევსკიც: „ლექსში ძალიან ხშირად სიტყვათა ინვერსიული განლაგებისას პაუზა იქ წარმოიქმნება. სადაც ის არ დაისმის სიტყვათა ნორმალური განლაგების შემთხვევაში“ (10, 275).

როგორც ვხედავთ, ინვერსია ქმნის „უფრო მეტად შესამჩნევ საზღვრებს“, მოულოდნელ პაუზას. როდესაც ინვერსიული წყობის სინტაგმა ტაქტის ბილისაა მოქცეული, როგორც ეს ჩვენს მაგალითშია, იგი მეტრული პაუზის მოკავშირე ხდება, აძლიერებს მას. ინვერსია ერთგვარი „ბარიერი“ როლს ასრულებს ანუაშბეჰანისათვის, ანეიტრალებს გადატანის სიმკვეთრეს.

წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, უფიქრობთ, სადაყო არ უნდა იყოს, რომ წინადადების (ფრაზის) გადატანა არ არის განმსაზღვრელი ანუაშბეჰანის წარმოქმნისა.

ანუაშბეჰანის მექანიზმის დასადგენად აუცილებელია დაკვირვება ტაქტის საზღვარზე, სადაც უშუალოდ ხორციელდება გადატანა. სწორედ აქ ხდება მეტრული პაუზის მიერ სინტაქსური კავშირით გაერთიანებული სიტყვათა ერთობის დარღვევა.

პოეტური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ანუაშბეჰანისათვის არსებითია არა წინადადების ან ფრაზის გადატანა, არამედ მცირე სინტაქსური სიდიდეების - სინტაგმისა ან, იშვიათად, ფრაზეოლოგიური ერთეულის - გაკვეთა.

ანუაშბეჰანისათვის სტრუქტურული მნიშვნელობის მქონე სინტაქსური

სიდიდე. რომელიც ტაეპიდან ტაეპში გადადის. არის არა წინადადება ან ფრაზა, არამედ - სინტაგმა ან შესიტყვება.

სამწუხაროდ, ე.წ. მიკროსინტაქსის საკითხები არამცთუ ქართულ, არამედ რუსულ ლექსმცოდნეობაშიც კი მეცნიერულად შეუსწავლელაა. ამიტომ სხვადასხვა ტიპის სინტაგმებში სინტაქსური შეკავშირების სიმდიერეზე საუბარი მხოლოდ იმპრესიონისტულ დონეზე თუ ხერხდება. ჩვენს დაკვირვებით, სინტაგმის შემადგენელ წევრებს შორის კავშირი ძლიერია მსაზღვრელ-მსაზღვრულში, შედგენილ შემასმენელსა და შესიტყვებაში, შედარებით სუსტი - ქვემდებარისა და შემასმენლის, დამატებებისა და შემასმენლის. გარემოებებისა და შემასმენლის ჯგუფებში.

სინტაქსური კავშირის სიმდიერეზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ანუამბემანის აღქმისათვის: რაც უფრო ძლიერია კავშირი სინტაგმის წევრებს შორის, მით უფრო შესამჩნევია მათი გათიშვისას გადატანა.

კვლევის ამ ეტაპზე იბადება კითხვა: სინტაგმის თუ შესიტყვების გათიშვის დროს ყოველთვის წარმოიქმნება გადატანა? ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან პოეზიაში გვხვდება არაერთი მაგალითი, როდესაც დასახელებულ სინტაქსურ სიდიდეთა გაკვეთა ხდება. მაგრამ ანუამბემანი არ ხორციელდება. მაგალითად:

*მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.*

(გ. ტაბიძე. „თოვლი“)

წმინდა ფორმალური მონაცემებით ამ სტრიქონებში უნდა გვეჩინდეს ანუამბემანი, რადგან პირველი ტაეპი აზრობრივ-ინტინაცურად დასრულებული არაა, წინადადება ერთ ტაეპში ვერ თავსდება. მოავარი მაინც ისაა, რომ აქ გათიშულია მსაზღვრელ-მსაზღვრული - „თოვლის ფენა“. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი სინტაქსური კავშირის მქონე სინტაგმა. მიუხედავად ამისა, ამ სტრიქონებში გადატანა არ ხორციელდება. რა ახსნა შეიძლება მოუძებნოს ამას?

სიტუაციაში გასარკვევად საჭიროა გაყოფა წინით ხალექსო მეტყველებისათვის ისეთი სპეციფიკური მოვლენა, როგორცაა დისლოკაცია.

დისლოკაცია, ანუ ლექსში სინტაგმის წევრთა დისტანციური განლაგება პოეზიაში ფართოდ გავრცელებული სიტყვათა წყობაა. ბ. ტომაშევისკის აზრით, სიტყვის დაშორებას მეორე სიტყვისაგან, რომლებიც ბუნებრივი მეტყველების დროს ერთად დგანან, „მიყვარათ განკერძოებისაკენ, ანუ იქმნება რაღაც პატარა პაუზა, რომელიც ამ სიტყვას გამოყოფს სხვა სიტყვებისაგან, მაშინ როცა ნორმალური განლაგებისას ისეთი განკერძოება არ მთილება. ეს განკერძოება რამდენადმე ამძიმებს სიტყვას, აძლევს მას დიდ წონას“ (10, 274).

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. თუ დავაკვირდებით, გალაკტიონის დამოწმებულ სტრიქონებში სინტაგმის („თოვლის ფენა“) წევრებს შორის **კონტაქტური** კავშირი კი არ არის, ანუ ისინი გვერდი-გვერდ კი არ არიან განლაგებულნი, არამედ - **დისტანციური**. სინტაგმა გათიშულაა სიტყვათა ჯგუფით: „**თოვლის** - ქაღალღებივით ჩიდიდან - **ფენა**“. ეს დიდილოკაციაა. როგორც ბ. ტომაშევიჩი მიუთითებს, ამ დროს განკვირებული სიტყვის („თოვლი“) შემდეგ ჩნდება პაუზა, რომელიც მას გამოაცალკევებს დანარჩენი სიტყვებისაგან. ვინაიდან „თოვლი“ ტაქტის ბოლოში დგას, აღნიშნული პაუზა ემთხვევა მეტრულ პაუზას, იწვევს მის სტაბილიზაციას. სვი ასუსტებს სინტაქსის მისწრაფებას ერთიანობისაკენ, რის გამოც გადატანა არ იქმნება.

დიდილოკაციის ხოვადი შექანისხმის მოქმედება ანუამბემანთან მიმართებაში ასეთია: დიდილოკაციის დროს ამა თუ იმ სინტაქსური კავშირით (შეთანხმება, მართვა, მართვა) შეკავშირებული სინტაგმები ინდისება წინადადების სხვა წევრებით, რასაც თან სდევს პაუზის გაჩენა და სიტყვის განკვირება. თუ ეს სიტყვა ტაქტის ბოლოს დგას, წარმოქმნილი პაუზა აძლიერებს მეტრულ პაუზას და აუქმებს, ან ასუსტებს ანუამბემანს.

დიდილოკაცია შედარებით ნაკლებად აჩასიათებს სახელებით შედგენილ სინტაგმებს, სამაგიეროდ, ზმნა-შემასმენლიანი სინტაგმები (განსაკუთრებით, ქვემდებარე და შემასმენელი) იოლად ეგუებიან გათიშვას, რის გამოც დიდილოკაცია აქ ფართოდ არის გაკრცვებული.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ წინადადების და თვით სინტაგმის სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლის მოუხედავად, სხვადასხვა მიზეზების გამო (ლოგიკური პაუზა, ინვერსია, დიდილოკაცია), ანუამბემანი არ წარმოიქმნება. ეს კი ცხადყოფს, რომ **გრამატიკული პაუზის არქონა ტაქტის ბოლოს არ არის გადატანის გამსაზღვრელი სტრუქტურული ნიშანი**. ამ გარემოებას ხაზს იძიტომ ვუსვამთ, რომ ანუამბემანის დაჩასიათებისას ძალიან ხშირად აქცენტი მხოლოდ მეტრულ პაუზასთან გრამატიკული პაუზის შეუთავსებლობაზეა გადატანილი.

ანუამბემანის წარმოქმნისათვის აუცილებელი ფაქტორია პაუზა ტაქტის შიგნით, რაზეც უკვე 20-იან წლებში მოუთხოვდა ვ. უარმუნსკი: „გადატანის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია სინტაქსური პაუზის არსებობა ტაქტის შიგნით, რომელიც უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე პაუზა ამოგე ტაქტის თავში ან ბოლოში“ (4, 154). მაგალითად:

*ესამ გადიბანა ძირიდაპ
მური, ნაცხები დრუბლია.*

(ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“)

გრამატიკული პაუზის უქონლობა ტაქტის ბოლოს მხოლოდ ანუამბემანის შესაძლო არსებობის მანიშნებელი სიგნალია. ჩილი პაუზა შეორე ტაქტის

შოვნით, სიტყვა „მურის“ შემდეგ - ანუამბეჰმანის მაწარმოებელი. საკმარისია ჩავატაროთ მცირე ექსპერიმენტი, გავაუქმოთ ეს პაუზა და ამით გადატანასაც გავაუქმებთ:

*ცამ გადიბანა პირილაშ
ღრუბლის ნაცხები მურია.*

გრამატიკული პაუზა ექსპერიმენტული წარმოდგენის პირველი ტაეპის ბოლოს კვლავაც არ არის, მაგრამ ანუამბეჰმანი აღარაა - მოიშალა პაუზა ტაეპის შოვნით.

ტაეპის შიდაპაუზის მნიშვნელობა და ძალა იმდენად დიდია, რომ ინვერსიისა და დისლოკაციის პირობებშიც კი, რომლებიც ანეიტრალებენ გადატანას, თუ ასეთი პაუზა მოქმედებს, ანუამბეჰმანი, როგორც წესი, მაინც წარმოიქმნება.

ინვერსია:

*ქარის და წვიმის წვეთები ხშირი
წყლებოდნენ, როგორც მწყდებოდა ვული.*
(გ. ტაბიძე, „მერი“)

სინტაგმის ინვერსიული წყობა სტრიქონთაბოლოს („წვეთები ხშირი“) აუცილებლად გაანეიტრალებდა გადატანას, ანუამბეჰმანის განმამოძრებელი ისეთი ძლიერი ფაქტორი რომ არ მოქმედებდეს, როგორცაა შიდაპაუზა. მიუხედავად ამისა:

*ქარის და წვიმის წვეთები ხშირი
წყლებოდნენ ბნელში გულდასაწყვეტად.*

მოიშალა შიდაპაუზა - გაუქმდა ანუამბეჰმანი.

დისლოკაცია:

*სხვისა სხვამ გითხრას, მე ბაღდათის ცის
მინდა ვიმღერო ბაგშეობის ნანა.*
(ტ. ტაბიძე, „ბაღდათის ზეცა“)

დამოწმებულ მაგალითში სინტაგმა გათიშულია, სინტაქსური კავშირი დისტანციურია, ე.ი. გვაქვს დისლოკაცია. მიუხედავად ამისა, ანუამბეჰმანი წარმოიქმნება და მისი განმსაზღვრელია შიდაპაუზა. თუ ამ პაუზას ექსპერიმენტის გზით გავაუქმებთ, გაუქმდება გადატანაც:

*ულაშაზესი მე ბაღდათის ცის
მინდა ვიმღერო ბაგშეობის ნანა.*

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის დისლოკაციის დროს, შედარებით მტკიცე სინტაქსური კავშირის გამო, გადატანის ერთგვარი აღქმა მაინც რჩება.

ვფიქრობთ, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სრულიად ცხადია

შიდაპაუზის როლი და მნიშვნელობა ანუაშბეჰანისათვის. ვ. უიროპუნსკი, როგორც ვიქციო, შიდაპაუზას გადაძვევებულ ფაქტორად მჩინებს გადატანაში და ამიტომ ისეთი სინტაქსური ერთობის ძიება, რომლის შემადგენელი ელემენტები ამდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ მათი გათიშვა ანუაშბეჰანის წარმოქმნას გამოიწვევს, არაშართებულად მიაჩნია. საბუთად მას მოაყავს მაგალითები, როცა სინტაქსური ერთობა - სინტაგმა ითიშება. გადატანა კი არ იქმნება.

პოეტური მასალის შესწავლა, მართლაც, გვიდასტურებს, რომ სტრუქციონიდან სტრუქციონზე გადასვლის გამო სინტაგმები ხშირად გათიშულა. მაგრამ თუ შიდაპაუზა არ მოქმედებს, ანუაშბეჰანი, როგორც წესი, არ წარმოიქმნება. ოღონდ აქ საჭიროდ მიგვაჩნია ერთი დაზუსტება. გადატანა არ ნიშნავს სინტაგმების გათიშვას, რომლებიც ერთმანეთთან შედარებით ხესტად არიან დაკავშირებულნი (ქვემდებარე, დაძაბუბანი და გარემოებანი შემასმენელთან). რაც შეეხება მსაზღვრელ-საზღვრულს, მისი გაცალკევება, თითქმის უგაძონაკლდისოდ, შიდაპაუზისაგან დაძოუკიდებლად ქმნის ანუაშბეჰანს, თუ სინტაგმის წევრებს შორის კონტაქტური კავშირია. დაჯიშვიშითი ისევე გადაკტიონი:

შირითი ელაყს ჩეენი თეთრი

კოშკის ძეელი ვაღაყანი

(„აქეთ ნუში, იქით ნუში“)

ანალოგიურ ძალას ამუღაყნებს დაძხმარე სიტყვების ვათიშვა დაძოუკიდებელი სიტყვისაგან:

თითქის ეს ხმები ეკუთვნის არა

მხილოდ და მხილოდ ფრანკელით გვიანებს.

(ვ. ტაბიძე. „ქალაქი წყალქვეშ“)

ამრიგად, დაძოუშებული მასალის საფუძველზე შეიძლება დაყასკვნათ, რომ შიდაპაუზის აბსოლუტუზაცია არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვასაზნარებლად მიგვაჩნია ვ. უიროპუნსკის ძირითადი იდეა, რომ „გადატანის არსებობა განისაზღვრება არაამდენად ამა თუ იმ სინტაქსური პაუზის აბსოლუტური მნიშვნელობით, რამდენადაც *შაძართებთ* შიდაპაუზასა და ძეტრული რიგის ბოლის მოქმედ პაუზას შორის“ (4, 155).

ეს შაძართება რომ უფრო არსებობთა, ვიდრე მჭიდროდ დაკავშირებულ სინტაქსურ ერთობათა დადგენა, იქიდანაც ჩანს, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ თავს არიდებს სინტაქსურ სიდიდეზე საუბარს და ყურდალება გადააქვს ძეტრული და სინტაქსური პაუზების ურთიერთობაზე. ვ. აბრამოვიჩი, მაგალითად, გადატანას განიხილავს, როგორც პაუზის გადაადგილებას სტრუქციონის ბოლოდან მეორე სტრუქციონის დასაწყისში ან შუაში (3, 220). ვ. სიღნეუნიკოვი ანუაშბეჰანის გასენას უკავშირებს ტაეპში შიდაპაუზის არსებობას და ამის შედეგად ძეტრული პაუზის დასუსტებას

(13, 138). ვადატანის წარმოქმნაში პაუზების განმსაზღვრელ როლზე მოუთხოვენ აგრეთვე ლ. ტიმოფეევი, ნ. პოსპელოვი, ბ. გონსაროვი...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ანჟამბეპანი ანუ ვადატანა ეწოდება ისეთ რიტმულ-სინტაქსურ ფორმას, რომელიც წარმოიქმნება მეტრული რიგისა და სინტაქსური დაყოფის შეუთავსებლობისას. მისი რეალიზაციაშია თავისი, როგორც წესი, აუცილებელია გრამატიკული პაუზის არქონა ტაქებს შორის და მიდაპაუზის არსებობა ტაქების შიგნით.

დაძლიწებული ლიტერატურა:

1. გაწერელია აკ. ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953.
2. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1986.
3. Абрамович Г.Л. Введение в литературоведение. М., 1961.
4. Жирмунский В.М. Теория стиха, Л., 1975.
5. Квятковский А. Поэтический словарь, М., 1966.
6. Корман Б. К определению переноса (anjabement) - "Русская литература", 1963, № 3.
7. Краткая литературная энциклопедия, т.2, М., 1964.
8. Тимофеев Л.И. Слово в стихе, М., 1982.
9. Тимофеев Л.И., Тураев С.В. Словарь литературоведческих терминов, М., 1973.
10. Томашевский Б.В. Стилистика и стихосложение, Л., 1959.
11. Томашевский Б.В. Русское стихосложение, Пб., 1923
12. Тынянов Ю.Н. Проблемы стихотворного языка, Л., 1972.
13. Холшевников В.Е. Основы стиховедения, Л., 1972.
14. Щерба Л.В. Фонетика французского языка, изд. 2, Л., 1936.
15. Arndt E. Deutsche Verslehre, Berlin, 1984.
16. Desfeuilles P. Petit traité de versification française - წიგნი. Dictionnaire de rimes, Paris, 1961.

